პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 65 (19806) ოთხშაბათი, 18 მარტი, 1987 წელი. ● ფასი 3 კაპ.


## ცნობები ორბიტიდან

**ფრენის მართვის ცენტრი, 17 მარტი.** (საკდესი). გრძელდება იური რომანენკოსა და ალექსანდრე ლავეიკინის კოსმოსური ვახტი „მირ“ პილოტირებულ კომპლექსში.

დღეს ეკიპაჟის სამუშაო დროის მეტი ნაწილი ეთმობა გეოფიზიკურ გამოკვლევებს. ფოტო და სპექტრომეტრიული აპარატურის გამოყენებით კოსმონავტები შეასრულებენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის, კერძოდ, ყაზახეთის, სამხრეთ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის ფოტოგადაღების რამდენიმე სერიას.

„კორუნდის“ დანადგარზე მთავრდება 13 მარტს დაწყებული კოსმოსური მასალათმცოდნეობის ექსპერიმენტი. ამ ექსპერიმენტის მიზანია უწონობის პირობებში ნახევარგამტარი მასალის მონოკრისტალების მიღება და ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალური რეჟიმების განსაზღვრა.

ფრენის მეცნიერული პროგრამის შესრულების პარალელურად კოსმონავტები განაგრძობენ „პროგრეს-28“ სატვირთო ხომალდით მოტანილი მოწყობილობით ორბიტული კომპლექსის საბაზო ბლოკის აღჭურვას. გუშინ მათ შეცვალეს ცალკეული ელემენტები სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემაში, დადგეს მთელი რიგი ახალი ხელსაწყოები.

ორბიტიდან მიღებული მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების მიხედვით, „მირ“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

## გარდაქმნისა და დემოკრატიის გაღრმავების გზით

**ვოსკოვი** გამოვიდა კრებული ლატვიისა და ესტონეთის სსრ რესპუბლიკებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობის შესახებ — „მტკიცედ ვიაროთ გარდაქმნისა და დემოკრატიის გაღრმავების გზით“.

კრებულში შესულია მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა ლატვიისა და ესტონეთის სსრ რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივთან შეხვედრებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლა ესტონეთის კომკავშირის XX ყრილობაზე, ცნობები მშრომელებთან შეხვედრებისა და საუბრების შესახებ, 1987 წლის 17-21 თებერვალს ამ რესპუბლიკებში მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობის ამსახველი სხვა მასალები.

კრებული გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ. (საკდესი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:**

**1. ... ... ...

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!**

# დავხვეწოთ საკადრო პოლიტიკა

**მოკვეთილია** მეთოდებით მუშაობის და ყოფილი ხელმძღვანელობის სუბიექტური მიზეზების გამო 70-იანი წლების პერიოდში მომარაგების მთავარ სამმართველოში სისტემატურად არ სრულდებოდა სახელმწიფო გეგმები, გამოწვავდა დისპროპორციები, ჩაშლის პირამდე მიდიოდა საფინანსო-საკრედიტო სისტემა.

ნეგატიური პროცესები, ცხადია, სოციალურ სფეროსაც შეეხო. თითქმის არაფერი კეთდებოდა თანამშრომელთა სამინო პირობების გასაუმჯობესებლად. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში არ აშენებულა და არ განაწილებულა არც ერთი ბინა, საერთო მდგომარეობაზე ასევე დამღუპველ გავლენას ახდენდა კანონების უგულვებელყოფა, კუთხურობა და ნათლიმამობა. მომარაგების სისტემაში ფეხი მოიკიდა მეჩრთამეობამ და სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტებმა, რის გამოც არაერთი დამნაშავეთა ჯგუფი გასამართლეს სასამართლო ორგანოებმა. ყოველივე ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიუროომ 1976 წელს თანამდებობიდან გაათავისუფლა კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა.

ამ დღიდან, განსაკუთრებით კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნა ახალი საზოგადოებრივი ატმოსფერო, გაძლიერდა მომთხოვნელობა და დისციპლინა როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე თვრამეტსავე დაქვემდებარებულ სტრუქტურულ სამმართველოში.

მართალია, გარდაქმნა პირველ ხანებში ნელა მიმდინარეობდა, მაგრამ 1986 წლის 20 აგვისტოს გაფართოებული კოლეგიის სხდომაზე შევიმუშავეთ ერთიანი სისტემა კადრების მუშაობის გარდაქმნის შესახებ, რომელიც საპრომგრამო დოკუმენტად იქცა თითოეული მუშაკისათვის.

კოლეგიის დადგენილებით კიდევ უფრო გაძლიერდა ხელმძღვანელ მუშაკთა კონტროლი როგორც ზევიდან, ისე ქვედან. ახლა კოლეგიტევების წინაშე აწარმოებით სისტემატურად გამოდიან ხელმძღვანელები. კოლეგიამ თავის სხდომაზე 6-ჯერ მოისმინა ხელმძღვანელ მუშაკთა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება კოლეგიის დადგენილება.

ღრმად შევისწავლეთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მასალები, გათვალისწინებული გვაქვს უახლოეს მომავალში დავნერგოთ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა არჩევითობა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ „საქლოთონმომარაგებაგასაღების“ სამმართველოს უფროსად კოლეგიტივის რეკომენდაციით დაინიშნა ა. თავართქილაძე, რომელმაც ჩამორჩენილი საწარმო მოწინავედ აქცია. ამჟამად წარმატებით სრულდება სახელმწიფო გეგმები. ბევრი გაკეთდა თანამშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ყოველდღიურად ზრუნავს რა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დასანერგავად სასაწყობო მეურნეობაში, ხელმძღვანელობა სათანადო შედეგებსაც აღწევს. სამმართველომ არაერთხელ მოიპოვა შეჯიბრებაში პირველი ადგილი და როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის გარდამავალი წითელი დროშა.

შრომითი კოლეტივის რეკომენდაციით რეზერვიდან ასევე დაწინაურდა „საქმომარაგებაგასაღების“ გაერთიანების სამმართველოს უფროსი ა. მენთეშაშვილი, რომელმაც გააანალიზა რა ამ სამმართველოს მიერ სახელმწიფო გეგმების სისტემატური შეუსრულებლობის მიზეზები, ჩასწავდა სიახლის არსს, უარი თქვა მეურნეობის გაძღოლის მოძველებულ მეთოდებზე, განამტკიცა დისციპლინა და იგივე კოლეტივეზე დაყრდნობით დაიწყო მუშაობა სასაწყობო მეურნეობაში დამონტაჟებული უცხოური მექანიზმების სიმძლავრეთა ასამოქმედებლად. მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ამ რთული მექანიზმების მომსახურე პერსონალის დონე ძალზე დაბალია, თვითონ ჩაუდგა სათავეში კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას. შედეგმა-რეობაც გამოსწორდა. ამჟამად გაერთიანება წარმატებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. რესპუბლიკის ყველა სამრეწველო და სამშენებლო ობიექტი მარაგდება დროულად და ხარისხიანი მასალებით.

ადამიანთა მკვეთრი შრომითი აქტიურობა გამოიწვია ბრიგადულმა ფორმების დანერგვამ და მათმა არჩევითობის შემოღებამ. ამჟამად სისტემაში მუშაობს 40 ასეთი ბრიგადა, სადაც გაერთიანებულია 434 მუშაკი. წელს იანვარში ჩატარდა ბრიგადირთა ატესტაცია, რის შედეგაც ნაწილი ბრიგადირებისა ატესტირებული იქნა, ნაწილს გამოსაცდელი ვადა მიეცა, ზოგს მიენიჭა I და II კლასის წოდებები, ხოლო ზოგი გიგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. სამწუხაროდ, ბრიგადული ფორმის დანერგვის ამ მნიშვნელოვან საქმეს არასერიოზულად მოეკიდა „საქნაირმომარაგებაგასაღების“ სამმართველოს ხელმძღვანელობა, აქ დღემდე არც ერთი ბრიგადული ფორმა არ შეუქმნიათ, არც ერთი ბრიგადირი წონასწორ არ მოუმზადებიათ. სწორედ ამიტომ ვერ პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნილებებს საკადრო პოლიტიკის სფეროში.

ჩვენს კოლეტივს შეგნებული აქვს, რომ კადრების გარდაქმნის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი რეზერვია შერჩეული და რა მუშაობა სწარმოებს მასთან.

იანვრის პლენუმის შემდეგ დიდი ყურადღება ექცევა ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა რეზერვის შერჩევას. რეზერვში ჩასაირიცხად წამოყენებული კანდიდატების ყოველმხრივი შესწავლის პროცესს ხელმძღვანელობს რეზერვთან მუშაობის კომისია, რომელსაც სათავეში უდგას ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარე ო. ქვილითაია. ეს კომისია პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად აწარმოებს რეზერვში ჩარიცხულ პირთა აღზრდას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

რეზერვში ჩარიცხულთ ეძლევათ სხვადასხვაგვარი დავალებები. ისინი სწავლობენ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების თეორიებს, შრომით კანონმდებლობებს, სამეურნეო სამართალს, წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის ამა თუ იმ დარგის ან ტექნოლოგიის სპეციფიკას. მათ ევალებათ დროებითი შეცვლა შვებულებაში ან მივლინებაში მყოფი იმ თანამდებობის პირისა, ვისი რეზერვიც არიან.

რეზერვში ჩარიცხული მუშაკები ასევე ჩართულნი არიან სხვადასხვა კომისიაში, რომლებიც სწავლობენ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, წარმოშობილ საპრობლემო საკითხებს. მათ ეძლევათ დავალება, რათა შეადგინონ დირექტიული საბუთები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის სისტემისათვის, ასევე ევალებათ ინფორმაციების შედგენა ზემდგომ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში წარსადგენად.

დღეისათვის ყველა ნომენკლატურულ თანამდებობაზე შერჩეული და ჩარიცხულია სულ 240 რეზერვი. მათგან თითქმის ყველა სპეციალური უმაღლესი განათლებითაა. აქედან 40 წლამდე 122 კაცია, 40 წლიდან 50 წლამდე 118, საიდანაც ქალია 65.

მიუხედავად იმისა, რომ 1986 წელს რეზერვიდან დაწინაურდა 33 თანამდებობის პირი, ჯერ კიდევ ხდება არასპეციალისტებისა და მომარაგების სისტემისათვის გამოუცდელი პირების მიღება და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მათი დანიშვნა, რომლებიც შემდგომ ვერ ართმევენ თავს სამუშაოს და ხელმძღვანელობა იძულებულია შეცვალოს ისინი. კომიტეტის ხელმძღვანელობამ, კადრების განყოფილებამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ „გბითვალისწინეს რა კადრების შერჩევა-განაწილებასა და აღზრდაში დაშვებული შეცდომები, კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე კრიტიკული შეფასება მიეცა კადრების განყოფილების უპრინციპო მუშაობას. დაისახა ღონისძიებანი მუშაობის ძირფესვიანი გარდაქმნისათვის.

იანვრის პლენუმიდან გამომდინარე დიდი ამოცანები დაესახათ საკადრო სამსახურის მუშაკებს. გულდასმით გავაანალიზეთ სისტემაში მომუშავე კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. გამოირკვა, რომ კადრების მუშაკთა 48 თანამშრომლიდან 8 თანამშრომელი საშუალო განათლებითაა, რომლებიც არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აღვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შეძლებდნენ ისინი მასებში შეეტანათ პარტიის იდეები და პოლიტიკა, როგორ შეძლებენ კადრების გარდაქნის პრაქტიკულ განხორციელებას. დღეისათვის ხელშესახებად უმჯობესდება საკადრო სამსახურის მუშაობა, როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე საწარმოო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. თუმცა აქ მთელი პრინციპულობით უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია ხარვეზი, ნაკლი. გაკვირვებას იწვევს „საქქიმმომარაგებაგასაღების“ სამმართველოს უფროსის, სკკპ წევრის ნ. ხოფერიას დამოკიდებულება კადრებისადმი. ამ სამმართველოში წესად დამკვიდრდა ინკენერ-ტექნიკურ თანამდებობაზე არასპეციალისტების მიღება. მიუხედავად კოლეგიის არაერთი გაფრთხილებისა, 1986 წელს მან ვკვლავ მიიღო 2 პრაქტიკანტი ინკენრის თანამდებობაზე. ერთი სიტყვით, წლიდან წლამდე აქ აშკარად უარესდება კადრების ხარისხობრივი მაჩვენებლები. კადრების დაწინაურების რეზერვი შექმნილია ფორმალურად, მათთან არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა არ სწარმოებს და კადრების დასაწინაურებელ რეზერვში ჩარიცხვა ხდებოდა წესების უხეში დარღვევით. მაგალითად, „ლაქსადებავების“ გასყოფილების უფროსის რეზერვში ნ. ხოფერიას წინადადებით ჩარიცხულ იქნა სპეციალობით პედაგოგი — გეოგრაფიის მასწავლებელი.

უხეიროდაა დაყენებული ხელმძღვანელი კადრების გადამზადების საკითხიც. არ შესრულდა 1986 წელს ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა. დღემდე არ შექმნილა არც ერთი შრომითი ბრიგადა. უხეშად ირღვევა ატესტაციის დებულება. აქ შარშან 6 მატერიალურად პასუხისმგებელ პირს არ ჩაუტარეს განმეორებითი ატესტაცია, რასაც საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება ითვალისწინებდა. ასევე უყურადღებოდ არის მიტოვებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა და მეშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლება.

ყოველივე ამ ნაკლოვანებებისთვის არაერთხელ მიეთითა ნ. ხოფერიას, კომიტეტის კადრების განყოფილებამ სპეციალისტიც მიავლინა დამბარებისა და ინსტრუქტაჟის მიზნით. მაგრამ იქ მუშაობა მაინც ძველი კალაპოტით მიედინება, რაც მავნე ზეგავლენას ახდენს „საქქიმმომარაგებაგასაღების“ კოლეტივის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე.

საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის კოლეტივს მტკიცედ აქვს შეგნებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აკისრია რესპუბლიკის მომარაგების საქმეში და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობანი კადრების გარდაქმნისა და განახლების განსახორციელებლად.

**ალ. კუნელაური,**
**საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის კადრების განყოფილების უფროსი.**

## ავრომრეფვი: მიმდინარეობს გარდაქმნა

**დაე,** სოფელმა, კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ თავად დაასახელოს და აირჩიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ასეთი იყო პარტიის რაიონული კომიტეტის აზრი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კანდიდატურა კრებისათვის ადრინდელივით „ზემოდან“ არ შეუთავაზებიათ, თავად სოფელს, ხალხს უნდა გადაწყვეტა — ვის იწონამძღოლებდნენ, მეტადრე ახლა, გარდაქმნების რევოლუციურ ხანაში. წონამძღოლად კი განათლებული, საქმიანი თვისებებით დაჯილდოებული, სოფლის ერთგული და მომაგე უნდა შეერჩიათ.

— ახლა ისეთი წონამძღოლი გვჭირდება, — თქვა სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ვანტანგ ტერუნაშვილმა, — რომელიც შექმნილი ძმიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოგვიყვანს, რწმენასა და იმედს დაგვიბრუნებს. ასეთად მერაბ საათაშვილი მესახება, მანქანა-ტრაქტორთა პარკის სარემონტო-საექსპლოატაციო საწარმოს მექანიზებული რაზმის უფროსი. ითქვა, და მერაბი თავმჯდომარედ აირჩიეს.

ამოცანები, რომლებიც პარტიამ ხალხს მეთორმეტე ხუთწლედის ათვის დაუსახა, ღრმა და მასშტაბურია. და რა გასაკვირია, რომ გარდაქმნისა და დაჩქარების იდეების მატერიალიზაციის დროს მომდინარე შეუპოვარ ბრძოლაში შრომითის კოლექტივებს აღარ სურთ ძველებურად უძრაობა და ზოზინი. არადა, ამ უკანასკნელ წლებში ზერტის კოლმეურნეობისა და მისი ხელმძღვანელობის (კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე — გ. ტერუნაშვილი), აგრონომიული, ეკონომიკური და საბუღალტრო სამსახურები სწორედ რომ მოუქნელად, გულგრილად მოქმედებდნენ.

ავიოთთ შარშანდელი, 1986 წლის სამეურნეო შედეგები, ვნახოთ, რა შემართება და ენთუზიაზმი გამოიჩინეს ზერტელებმა ახალი ხუთწლედის პირველი წლის მიჯნების დალაშქვრისათვის.

კოლმეურნეობაში მთავარი დარგი მეხილეობაა და სწორედ მეტი ყურადღებაც ამ დარგს ექცევა. ხილის მოსავლიანობა საგეგმო 65 ცენტნერის ნაცვლად 34 ცენტნერის იყო. ზერტელებმა სახელმწიფოს 575 ტონა ხილი დააკლეს დარგის ტრადიციულობის მიუხედავად წარმოებული ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება საგეგმოსთან შედარებით 10,28 მანეთით გაიზარდა.

იქნებ შარშანდელი წელი მეხილეობაში მართლაც ძნელი იყო? მაგრამ არც შარშანწინ გამოუჩენიათ თავი აქაურ მეხილეებს. საგეგმო 1.920 ტონის ნაცვლად მხოლოდ 946 ტონა ხილი მიიღეს, კიდევ უფრო უარესი შედეგები ჰქონდათ ზერტელებს 1984 წელს — მათ სახელმწიფოს 1.334 ტონა ხილი დააკლეს — და ა. შ.

შარშანდელი სამეურნეო მაჩვენებლებით ვერც კოლმეურნეობის მევენახეები მოიწონებენ თავს. მათ სანაზვერთდაც ვერ შეასრულეს ყურძნის მიღების დავალება, სამეალოდ ჰექტარზე 14 ცენტნერი ყურძენი მიიღეს საგეგმო 28,6-ის მაგიერ. 120 მანეთით გაიზარდა ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება. ასეა აღნიშნული კოლმეურნეობის ეკონომიკური სამსახურის მიერ წარმოდგენილ საბუთებში.

ჩაიშალა სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვის დავალებებიც. ოთხი სახეობის ბოსტნეულიდან ზერტელებმა დავალებები ვერ გაანაღდეს სამ სახეობაში, 785 ტონის მაგივრად სახელმწიფოს მიეყიდა 360 ტონა ბოსტნეული.

საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა შარშან მეცხოველეობაშიც. 3.280 ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 1.730 ცენტნერი რძე, 170 ცენტნერი ხორცი (235 ცენტნერით ნაკლები, ვიდრე დავალება ითვალისწინებდა). ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ხორცის თვითღირებულება. ცენტნერი საქონლის ხორცის თვითღირებულება გაზრდილია 678 მანეთით, ღორისა — 823 მანეთით.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ცალკეულ ბრიგადებში. მაგალითად, კოლმეურნეობის პირველ საწარმოო ბრიგადაში (ყოფილი ბრიგადირი — თ. დოლუაშვილი) 6 ჰექტარი ლობიოს ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 12,5 ცენტნერის მაგივრად 0,8 ცენტნერი მოიწიეს, ანუ 40 მანეთის პროდუქცია [illegible] მანეთის ნაცვლად — [illegible]

ამ ციფრებზე შეიძლება კაცს კიდევაც გაეღიმოს, მაგრამ ბრიგადებში შექმნილი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი — თვითონებისა და განუკითხაობის ატმოსფერო ვერავის ვერ დააყენებს ღიმილისა და ხუმრობის გუნებაზე, ისევე როგორც მეხუთე ბრიგადის (ბრიგადირი — მ. ტერუნაშვილი) მაჩვენებლები, სადაც 595 ცენტნერის მაგივრად 4 ცენტნერი ხახვი მიიღეს, 81 ცენტნერი ლობიოს ნაცვლად — 2 ცენტნერი. აქ სანახევროდაც ვერ შესრულდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის მიღების დავალებები, თუმცა ზემოაღნიშნული ბრიგადა გამონაკლისი არ გახლავთ.

ცხადია, ყოველივე ეს ფულადი გამოხატულებით ზუსტ ეკონომიკურ სურათს იძლევა. ზერტის კოლმეურნეობამ 81 ათასი მანეთი მოგების ნაცვლად სამეურნეო წელი 486 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა. 115.714 კაცდღის მაგიერ გამომუშავებულია 97.988 კაცდღე, 213 კაცს არ გამოუმუშავებია კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი.

აი, ცენტნერობით, მანეთობით, კაცდღეობით განივთებული შრომის სუსტი დისციპლინა და შრომის ორგანიზაცია, გულარხეინობა და ურთიერთმაპატიებლობა, არავითარი სურვილი — თავადაც გარდაიქმნა და სხვებიც გარდაქმნა. ცხადია, ასეთ სიტუაციას დამაკმაყოფილებელს ვერ უწოდებ; სწორედ ამიტომაც არადამაკმაყოფილებლად შეაფასა კრებამ გამეგობის მიერ გაწეული მუშაობა და ახალი თავმჯდომარე აირჩია.

# გულარხეინობამ და უდარდელობამ სიღარიბე იცის

მანამდე კი პარტიის გორის რაიკომის ბიუროომ პრინციპულად იმსჯელა ზერტის კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობაზე, შეიმუშავა კოლმეურნეობის ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევის კონკრეტული გზები; მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ტერუნაშვილს კი აღარ გაუწია რეკომენდაცია ზერტის კოლმეურნეობაში ამ თანამდებობაზე ასარჩევად.

ახლა კოლმეურნეობის ახალ ხელმძღვანელებს პირველი სამუშაო გზაფხული დაუდგათ. ხელთა გვაქვს ცნობები, რომლებიც სრულ სურათს იძლევიან ბალ-ვენახებში საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. ამ მონაცემების შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარება შეიძლება. მაგალითად, დღეისათვის ხეხილის ბაღებში მინერალური სასუქები შეტანილია, მოხნულია და გასხლულია 386 ჰექტარი, შარშან ამ დროს სასუქები შეტანილი იყო 340 ჰექტარზე, მოხნული იყო 280 ჰექტარი, სხვლა ჩატარებული იყო 352 ჰექტარზე.

წლეულს 37 ჰექტარი ვენახები გაისხლა, შარშან იმავე პერიოდში კი — 5 ჰექტარზე. შარშან ამ დროს ხახვის თესვა არ დაეწყოთ, წლეულს კი უკვე დამთავრებულია.

უპირველეს ყოვლისა, მოსავლიანობის განუზრელი ზრდაა, რას უნდა მიაქციონ შეუნელებელი ყურადღება კოლმეურნეობის აგრონომიულმა სამსახურებმა. მართლაც, განა ანომალური არ არის, რომ შარშან მეხუთე ბრიგადამ, რომელსაც 39 ჰექტარი ბაღი აქვს, 65 ცენტნერის მაგივრად ჰექტარზე 21,5 ცენტნერი ხილი მიიღო, სულ კი — 839 ცენტნერი. ამ რაოდენობის ხილი საკარმიდამოსაში ხომ 2-3 ჰექტარზე მოჰყავთ!

ახლა მეცხოველეობა? აქ კვლავაც უსაშველოდ გაზრდილია ცენტნერი ხორცისა და რძის თვითღირებულება, ახლა ვენახი, ბოსტნეული, მეცხოველეობის საკვები, მოკლედ, კოლმეურნეობის თავკაცების დიდი მუშაობა მოელოდ.

**გ. ვაშაკიძე.**
**„კომუნისტის“ ხაკ. კორ.**

## საგაზაფხულო თესვა გიორგიწმინდაში

**გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები საგარეჯოს რაიონში ერთ-ერთი პირველები შეუდგნენ შვრიის, ქერის, ოინჯისა და ერთწლოვანი ბალახების თესვას. საგაზაფხულო ნათესი საბჭოთა მეურნეობაში თითქმის 550 ჰექტარს შეადგენს.**

**მიწათმოქმედებმა ვალდებულება იკისრეს თითოეულ ჰექტარზე გათიბონ 150 ცენტნერი მწვანე მასა, ნაცვლად საგეგმო 100 ცენტნერისა.**

**სურათზე: აგრონომი ვასილ ბურჯანაძე და საგარეჯოს თესლისა და ნერგების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი ილია დალბაშვილი ამოწმებენ სათესლე ფონდის ხარისხს.**

**ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# შესრულდეგა მიზანმიმართული მოქმედებით

ობების ტექნიკური დონე, რასაც უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება დარგების ტექნიკური განახლებისათვის. შესწავლილია საკონსტრუქტორო დამუშავების დონე, კონსტრუქციებში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობები, პროდუქციის საექსპლოატაციო მახასიათებლები, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის ხარისხი.

მასალების შესწავლისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის განმავლობაში მანქანათმშენებლობის საწარმოებმა პირველად საბჭოთა კავშირში ათთვისეს 150-ზე მეტი დასახელების ახალი სახეობის ტექნიკის გამოშვება.

დარგის საწარმოებმა ამ პერიოდში დაიწყეს ისეთი სახეობის ნაკეთობათა დამზადება, როგორიც არის ცვლადი დენის ელექტროძრავები, მაგნიტალური ელმავლები, ლითონსაჭრელი ჩარხები, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები, სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული სატვირთო ავტომობილები, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები, ხელსაწყოები, ავტომატზაციის საშუალებები.

რესპუბლიკის მანქანათსაშენებელ საწარმოებში პროდუქციის განახლების მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. მისი დონე შესამჩნევად ჩამორჩენილი საშუალო საკავშიროსას. საკმაოდ დიდია ათი წლის წინათ ათვისებულ მანქანათა ხვედრითი წილი. მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მან შეადგინა რესპუბლიკის მანქანათსაშენებელი მრეწველობის მიერ დამზადებული მთლიანი პროდუქციის 31,7 პროცენტი. ცალკეულ მანქანათსაშენებელ საწარმოებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დიდია. ქუთაისის მოტორბლოკების ქარხანაში, მაგალითად, ამ ციფრმა შეადგინა 68,5 პროცენტი, თბილისის „ელექტროიზოლიტის“ ქარხანაში — 89,9 პროცენტი, ზესტაფონის „საქაბელის“ ქარხანაში — 92,9 პროცენტი...

1959 წლიდან უშვებს ცხინვალის ელექტროვბრაციული მანქანების ქარხანა პვე-2 სერიის მანქანას. კიდევ უფრო მოძველებულია ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის აკ-24 მარკის ელმავალი, რომელიც აქ 1957 წლიდან გამოდის. 1958 წლიდან მზადდება ზოგიერთი სახეობის ნაწარმი ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანაში.

ცხადია, ასეთი მოძველებული სახეობის მანქანა-მოწყობილობა, სხვა სახეობის პროდუქცია ვერ გაუძლებს კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე. რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის საერთოსაექსპორტო მოცულობიდან მანქანათმშენებლობის ნაწარმის წილი მხოლოდ 5,3 პროცენტს შეადგენს. ეს ორჯერ ჩამორჩება საკავშირო მაჩვენებელს და მეტად არასასიამოვნო ფაქტია.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან და საქართველოს მინისტრთა საბჭოში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოსთან ერთად შეიმუშავა პროგრამა 1990 წლამდე, რომლის მიზანია საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მასში გათვალისწინებულია კონკრეტული ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შემუშავებულია აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიხედვით უნდა გამოვლინდეს რესპუბლიკის საწარმოების ინიციატივა ახალი სახეობის პროდუქციის, მოდერნიზაციისა და წარმოებიდან მოძველებული ტექნიკის მოხსნის გეგმების შედგენის საქმეში. საკმაოდ ფართოდ უნდა გამოიყენონ რობოტტექნიკა, შეიქმნას მოქნილი ავტომატური წარმოებები, რიცხობრივი პროგრამული მართვის ჩარხები და დაზგები დამუშავების პროგრესული მეთოდებით, გაძლიერდეს მანქანათმშენებლობის პროდუქციის საცალო ფასების როლი. პროგრამაში შეყვანილია მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, აგრომრეწვის დარგების საწარმოები — სულ 25 საწარმო. პროგრამაში მონაწილეობს 23 კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაცია.

პროგრამა შეიცავს კონკრეტულ დავალებებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოში განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების მიმართ გრძელვადიანი პერიოდისათვის, რომლებიც დარგთშორისი ხასიათისაა. სამუშაოთა კომპლექსი ითვალისწინებს 200-ზე მეტი ღონისძიების განხორციელებას.

რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების 1986-1990 წლების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა წარედგინა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას და მოწონებაც დაიმსახურა. პროგრამაში გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მსვლელობა სისტემატურად კონტროლდება.

# პარტნიორებთან თანამეგობრობით

**სარგებლობა** მოუტანა მემინდვრეებს მიწის კომპლექსურმა დამუშავებამ, რომლის განხორციელებაც შესთავაზა მათ ყვარლის რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ. გადასცა რა აგრომრეწველ პარტნიორებს — სოფლტექნიკის სამსახურს ოცდაათი ჰექტარი მწირი მიწები, საბუთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ მალე განაახლა თავისი მიწის „ბანკი“. კაპიტალური დაგეგმვა, რეკულტივაცია, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, მასივის მოხვნა ერთიორად იღები დაჯდა, ვიდრე წინთ, როცა ასეთივე სამუშაოებს ასრულებდნენ საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები.

ნაყოფიერების რაზმებმა დაიწყეს გრემის, ენილის, ახალოსფლის, მთისძირის საბჭოთა მეურნეობების, სოფელ შილდის კოლმეურნეობის დაუმუშავებელი მიწების ათვისება. რაიონის თესლბრუნვის რუკაზე მონიშნულია დაახლოებით ასი ჰექტარი სახნავ-სათესი სავარგულები, რომლებსაც ხარისხის პასპორტები აქვთ.

დაკისრებული საქმისთვის პასუხისმგებლობის გადიდებას ხელი შეუწყო რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს მიერ შეთავაზებულმა პარტნიორთა სახელშეკრულებო ურთიერთობის სისტემამ. ახლა მისი ქვეგანაყოფები თავად არიან დაინტერესებული, რომ ყველა აგროხარხი სრულდებოდეს დროულად და მაღალ დონეზე: შრომის ძირითადი და დამატებითი ანაზღაურება დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე — მოსავალზე. თანამშრომლობის ახალმა ფორმამ კიდევ ერთი სარგებლობა მოუტანა მხვნელ-მთესველებს: გაზარდა ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობა.

ყვარლის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების გამოცდილებას ფართოდ იყენებენ მეზობელ ლაგოდეხის, თელავის, ახმეტის აგროსამრეწველო გაერთიანებებში. უკვე წელს ნაყოფიერების რაზმებს „კაპიტალური რემონტისათვის“ გადაეცათ რამდენიმე ასეული ჰექტარი სავარგული.

# შემოსავლის მუხლში

**რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის პროდუქციას ორი ახალი სახეობა შეემატა. ამომჭმელი ხსნარის კომპლექსური გადამუშავების საცდელ-სამრეწველო უბანმა მაგნეტიტისა და ამონიუმსულფატის პირველი პარტია გამოუშვა. წინათ ამ ხსნარების საუტილიზაციოდ და გასაუვნებლად საწარმო მნიშვნელოვან თანხას ხარჯავდა. ახლა მისგან ამზადებენ ძვირფას ნედლეულს.

იმაში, რომ ნარჩენების გადამუშავება ბიუჯეტის შემოსავლად ექცეთ, ქარხანას დაეხმარნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერები.

ამომჭმელი ხსნარის კომპლექსური გადამუშავების საცდელ-სამრეწველო უბნის სიმძლავრე საშუალებას იძლევა ყოველწლიურად 500 ტონაზე მეტი მაგნეტიტი და 2000 ტონაზე მეტი ამონიუმსულფატი აწარმოონ. სასუქი გაეგზავნება გარდაბნის რაიონის მეურნეობებს და ქარხნის დამხმარე მეურნეობას.

წარმოებასთან მეცნიერების კავშირმა ერთდროულად რამდენიმე პრობლემა გადაწყვეტა: ეკონომიკური (ნარჩენების გადამუშავება დიდი შემოსავლის გარანტიას იძლევა), ეკოლოგიური (ქარხნის სამრეწველო ჩანადენში გარსმავნე ნივთიერებაც კი არ ხვდება), სოციალური უბანი უზრუველყოფს იმ პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესებას, რომელიც წინათ მოძველებულ ტექნოლოგიით ამომჭმელი ხსნარის გაუვნებლებაზე მუშაობდა. შემცირდება მაგნიტოფონის ლენტის დეფიციტი, გადიდდება ჩამოწერი აპარატურის ხარისხი.

(საქინფორმი).

## გავზარდოთ პროპაგანდის ეფექტიანობა

**ხელი** შეუწყოს დაჩქარების საქმეს, გარდაქმნას, პროპაგანდა დროის მოთხოვნათა შესაბამისად — ეს არის ლექტორთა აქტივის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამას გაესვა ხაზი საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც 13 მარტს გაიმართა მოსკოვში. განხილეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და მოწინავე საწარმოო გამოცდილების პროპაგანდის პრობლემები.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები ასრულებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების პროპაგანდისტული უზრუნველყოფის საგეგმო ღონისძიებებს. მოეწყო საკავშირო სემინარები ეკონომიკისა და აგროსამრეწველო კომპლექსის აქტუალურ პრობლემებზე. აქტიურად გამოიყენება პროპაგანდის სხვადასხვა ფორმა. მტკიც

# ᲐᲠ ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲝᲑ...

**ᲐᲚᲑᲐᲗ,** ეს აზრი მოუვიდათ თავში გ. ჩამურლიევსა და ბ. რაზმაძეს, ორი სატვირთო მანქანის მძღოლებს, რომლებიც ერთმანეთისათვის გზის გადაჭრას ცდილობდნენ. და არც დაუთმეს. თუმცა უკანასკნელ მომენტში ორივემ მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანები, მაგრამ დაჯახება მაინც ვერ აიცილეს თავიდან. დაიღუპა ერთ-ერთი მანქანის მგზავრი, მძღოლები კი დაშავდნენ. ეს მოხდა მარნეულ-თეთრი წყაროს გზის 69-ე კილომეტრზე.

ვინ არის დამნაშავე? რასაკვირველია, ორივე მძღოლი, თუ არაფერს ვიტყვით... მოძრაობის წესებზე. მოდით, ნუ ვიჩქარებთ საბოლოო დასკვნების გამოტანას გამოძიების დამთავრებამდე, თუ რა ვითარებაში მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის გარკვევასაც ცდილობს ახლა თეთრი წყაროს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება, იქ გაარკვევენ, ვინ მართალია და ვინ — მტყუანი. საგზაო რეგულის „ავტორებს“ კი დავასახელებთ:

წალკის № 48 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი. ჯერ კიდევ მარშან ამ ორგანიზაციას დაევალა დაეყენებინა პრიორიტეტის ნიშნები ამ გზაჯვარედინზე, იქ, სადაც ახლა ავარია მოხდა. მაგრამ № 48 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მუშაკებს ამ დავალების შესასრულებლად თავი არ შეუწუხებიათ. უწინარესად სწორედ საგზაო ნიშნების უქონლობამ შეუწყო ხელი საავარიო სიტუაციის შექმნას.

### ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

▲▲

დმანისის რაიონის გომარეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის „მძღოლს“ გ. რაზმაძეს იმ დღეს თავისი „ქამაზით“ კარტოფილი გადაქონდა წალკიდან წყალტუბოში. მან ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა თვითსაცლელი, რომელიც სოფელ ბედიანის მხრიდან მისთვის გზის გადასაკრეკლად მოჰქროდა, მაგრამ სიჩქარეს არ მოუკლო: მისი გზა ხომ მთავარია! არც გ. ჩამურლიევი, წალკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის თვითსაცლელის მძღოლი, აპირებდა მანქანის დამუხრუჭებას: ის ხომ „ქამაზისათვის“ „მარჯვნიდან დაბრკოლებას“ წარმოადგენდა, მაშასადამე, პრიორიტეტის უფლება მის მხარეზე იყო. ამგვარი „შეუთანხმებლობის“ შედეგი უკვე ვიცით...

ეს შემთხვევა განიხილეს ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე. აღინიშნა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი წალკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში სუსტმა შრომისა და საწარმოო დისციპლინამ. მაშ, სხვაგვარად როგორ უნდა იახსნას ის ფაქტი, რომ ჩამურლიევმა, რომელსაც მინერალური სასუქი გადაჰქონდა მარნეულიდან წალკაში, გადაწყვიტა გზად ბედიანში „შეეარა“?

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ საბჭოთა მეურნეობაში, ისევე როგორც გომარეთისა და საგზურის ფურცლებში არ აღნიშნავენ რეისიდან ავტომანქანების დაბრუნების საგეგმო და ფაქტობრივ დროს. ჯეროვანი წესრიგი არ არის დამყარებული სასპიდომეტრო მეურნეობაში. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მძღოლთა შორის არავითარ პროფილაქტიკურ მუშაობას არ ეწევიან საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე.

სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე თეთრი წყაროს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, რის შედეგადაც აღნიშნული გზის მონაკვეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იყო მათი თვალთახედვის არეში და პრაქტიკულად კონტროლი არ ეწეოდა.

წალკისა და დმანისის რაიონების საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომისიებს დაევალათ თავიანთი რეგიონების ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სატრანსპორტო მეურნეობებში წესრიგის დამყარების მიზნით დაუყოვნებლივ განახორციელონ სათანადო ღონისძიებები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციას დაევალა განიხილოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც მარნეულ-თეთრი წყაროს რესპუბლიკური მნიშვნელობის გზაზე პრიორიტეტის საგზაო ნიშანი არ დააყენეს, რის გამოც ავტოავარია მოხდა და ასეთი სავალალო შედეგით დამთავრდა.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ: ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ

**ᲨᲐᲠᲨᲐᲜ** სხვადასხვა პროფილის რამდენიმე ათასი ინჟინერი გამოუშვა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა. ისინი წარმატებით შრომობენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სფეროში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში. შრომითის კოლექტივებში ახალგაზრდა სპეციალისტები ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის სრულყოფამ. კურსდამთავრებულებმა საქმით გაიარეს კარგი წრთობა ინსტიტუტის სასწავლო-საწარმოო უბნებზე, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა რესპუბლიკის ბევრ მსხვილ საწარმოში. დაადგა რა გარდაქმნისა და დაჩქარების კურსს, უმაღლესი სასწავლებელი ახლა კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს. წარმოებასთან, განაგრძობს მუშაობას საწარმოებში კათედრების ფილიალებისა და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შექმნისათვის.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ბევრად უწყობს ხელს უფროსი კურსების სტუდენტთა მონაწილეობა სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობაში, სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებში. ამის შედეგად სტუდენტთა პროექტებით საქართველოში უკვე აშენდა შენობები და ხიდები, გაყვანილია მრავალი ათეული კილომეტრი გზა, შექმნილია ავტომატიზებული სამუშაო ადგილები წარმოებაში, დაინერგა მძლავრი ენერგეტიკული დანადგარების მუშაობა. პოლიტექნიკოსი სტუდენტები სამი წელია ზედიზედ საპრიზო ადგილებს იღებენ საკავშირო კონკურსებში ბუნებისმეტყველების, ტექნიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგში საუკეთესო სტუდენტური ნაშრომებისათვის, ისინი მთელი რიგი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები გახდნენ.

უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივმა შარშან ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს გადასცა განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბერეზნიმა უმაღლესი სასწავლებლის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც 14 მარტს თბილისში გაიმართა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მთელი რიგი საწარმოებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

უმაღლესი სასწავლებლის პარტიულ-სამეურნეო აქტივმა მიიღო კოლექტივის 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს გადარიცხონ მიღებული ფულადი პრემია — დაახლოებით 80 ათასი მანეთის ოდენობით — სტიპეური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის დახმარების ფონდში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

## ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:**

**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდ წელთან დაკავშირებით პოეტი კარლო რაზდენის ძე **ᲙᲘᲚᲐᲫᲔ** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში და მასახურებისათვის და დაბადების სამოცდ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი სულხან ივანეს ძე **ᲜᲐᲮᲘᲫᲔ** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი ამბ. ჯონდო ლევანის ძე **ᲯᲐᲒᲐᲜᲨᲕᲘᲚᲘ** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

17 ᲛᲐᲠᲢᲘ ● ᲡᲐᲙᲘᲓᲚᲘᲡ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

# ᲣᲙᲡᲝᲤᲘᲜᲘ

ᲤᲐᲥᲢᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

# ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

### ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲒᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲡ

**ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ.** საბჭოთა კავშირის მიერ ბოლო ხანს წამოყენებულ სამშვიდობო ინიციატივებს პოზიტიური ხასიათი აქვთ, განაცხადა პორტუგალიის პრეზიდენტმა **ᲛᲐᲠᲘᲝᲣ ᲡᲝᲐᲠᲔᲨᲘᲡ** გაზეთ „ჟორნალ დი ბრაზილისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. მინდა იმედი ვიქონიო, რომ მსოფლიო შედის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების ახალ ფაზაში, და რომ ამ მოლაპარაკებას საყოველთაო უშიშროების განმტკიცება მოჰყვება, აღნიშნა მან. ფიქრადაც კი არ შეიძლება ბირთვული კატასტროფის შესაძლებლობის დაშვება. ამავე დროს მ. სოარესშმა თქვა, რომ პორტუგალია ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრია და მონაწილეობს სამხედრო ლონისძიებებში, რომლებსაც შეერთებული შტატები წარმართავს.

**ᲟᲔᲜᲔᲕᲐ.** მ. ს. გორბაჩოვის 28 თებერვლის განცხადებაში ჩამოყალიბებული წინადადებები სსრ კავშირის კეთილი ნების გამოხატველი კიდევ ერთი ჟესტია, რომელიც განაგრძობს განიარაღების სასარგებლო სხვა საბჭოთა წინადადებებისა და აქციების მთელ სერიას, წერს შვეიცარიის შრომის პარტიის გაზეთის „ვო რეალიტეს“ მთავარი რედაქტორი შვეიცარიის შრომის პარტიის პოლიტბიუროს წევრი **ანდრე რობერი.** „უბირთვო მომავლისაკენ წინსვლის ერთადერთი საშუალებაა საბჭოთა წინადადებების მიღება“, — აღნიშნა მან.

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ.** ახალ საბჭოთა წინადადებას მხარი დაუჭირა ბელგიის ომისსწინააღმდეგო მოძრაობის კოორდინაციის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრის —მშვიდობისა და განვითარებისათვის მოქმედების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ **რობერ დედუაიმ.** გაზეთ „დრაპო რუჟისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: მთელი მსოფლიო კარგად მიხვდა, რომ არ შეიძლება გვერდის ავლა სსრ კავშირის წინადადებისათვის ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების თაობაზე. ჩვენ მივესალმებით ახალ საბჭოთა ინიციატივას, რომელიც კარგ პერსპექტივას უსახავს ჩვენს კონტინენტზე ამ სახეობის ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების უსწრაფეს მიღწევას“. რ. დედუაიმ ბელგიის მთავრობას მოუწოდა „ხელი შეუწყოს საბჭოთა წინადადების რეალიზაციას და ჟენევის მოლაპარაკების წარმატებას იმის მეშვეობით, რომ უარი თქვას ამერიკის შეერთებული შტატების ფლორენის ბაზაზე 32 დამატებითი ფრთოსანი რაკეტის განლაგებაზე, რასაც ოკეანის გაღმიდან გვახვევენ თავს, და იმით, რომ ქვეყნიდან გაიტანოს უკვე აქ განლაგებული ამ კლასის 16 რაკეტა“.

„ისტორიას უკვე არაერთხელ უჩვენებია ჩვენთვის, — თქვა მან შემდეგ, — რომ როცა ევროპელები აქტიურად უწყობენ ხელს განიარაღებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების წარმატებას, საქმეც წინ მიდის. ამის დასტურია სტოკჰოლმის ევროპაში ნდობის, უშიშროებისა და განიარაღების განმტკიცების ღონისძიებებისადმი მიძღვნილი კონფერენციის შედეგები. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბელგია ახლა თავმჯდომარეობს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში, ჩვენ ვილფრიდ მარტენსის მთავრობას მოვუწოდებთ წამოაყენოს ინიციატივები ევროპაში უშიშროების განმტკიცების თაობაზე, მათ შორის უბირთვო ზონებისა და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნის მეშვეობით“.

**ᲛᲐᲓᲠᲘᲓ.** ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ მორიგების მიღწევა გზას გაუხსნიდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგის გააქტიურებას ბირთვული განიარაღების სხვა ასპექტებშიც, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბრისას ესპანელი მწერლების ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა **ანდრე სორელმა.** სსრ კავშირის წინადადებას ევრორაკეტების შესახებ, აღნიშნა მან, მთლიანად დადებითად გამოეხმაურნენ შეერთებული შტატები და ნატო. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთ შეთხვევებში ცდილობენ ხოლმე რაღაც ახალი პირობების წაყენებას, რათა ძირი გამოუთხარონ შესაძლო მორიგებებს. ახლა არ შეიძლება ამის დაშვება, ვინაიდან საკითხი ასე დგას: ან ევროპა უბირთვო იქნება, ანდა იგი ჩაებმება უკონტროლო გამალებულ ბირთვულ შეიარაღებაში.

### ᲤᲔᲚᲔᲢᲐᲘᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲓᲐᲜ

◆ **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა და აქ ვიზიტად ჩამოსულმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაჰით ჰალეფოღლუმ 1990 წლამდე მოქმედების ვადა გაუგრძელეს ამერიკა-თურქეთის შეთანხმებას თავდაცვისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე.

◆ **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტის მინისტრმა ჯონ მურმა პარლამენტში ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მთავრობა აპირებს ბრიტანეთის აეროპორტების სამმართველოს დენაციონალიზაციას. ამ ორგანიზაციის ხელშია ქვეყნის მთავარი აეროპორტები.

◆ **ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ.** გაფიცვა გამოაცხადეს ესპანეთის სახელმწიფო საავადმყოფოების ექიმებმა და სამედიცინო პერსონალმა. გაფიცვამ მოიცვა 59 მსხვილი სამედიცინო ცენტრი ქვეყნის ყველა რაიონში. იქ მხოლოდ სასწრაფო დახმარებას უწევენ. ექიმები მოითხოვენ ხელფასის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

### ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲜᲑᲝᲚᲣᲛᲔ

**ᲚᲣᲐᲜᲓᲐ. ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პ. გ. გილაშვილის მეთაურობით. დელეგაცია მოგზაურობს სამხრეთ აფრიკის „ფრონტხპირა“ სახელმწიფოებში.**

დედაქალაქის აეროპორტში საბჭოთა პარლამენტარებს დახვდა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სახალხო ასამბლეის (პარლამენტის) პირველი მდივანი ლუსიო ლარა.

საბჭოთა კავშირი სოლიდარობს ანგოლელი ხალხის გმირულ ბრძოლას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის იმპერიალისტების, რასისტებისა და მათი დამქაშების ხრიკებისაგან რევოლუციური მონაპოვრების დაცვისათვის, განაცხადა ლუანდაში ჩასვლისას პ. გ. გილაშვილმა. მან აღნიშნა, რომ წარმატებით ვითარდება სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობა. ორი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში ახალი მნიშვნელოვანი წვლილი გახდა, თქვა პ. გ. გილაშვილმა, შარშან სექტემბერში ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სახალხო ასამბლეის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში. ჩვენი ჩამოსვლის მიზანია ანგოლელ კოლეგებთან ერთად განვიხილოთ როგორც ისეთი საკითხები, რომლებიც უშუალოდ საპარლამენტთაშორისო საქმიანობას ეხება, ისე ყველაზე მწვავე აქტუალური პრობლემები, რომლებიც აღელვებს ყველა კეთილი ნების ადამიანს. ასეთ შეხვედრებსა და საუბრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლადდელი საშინ საერთაშორისო ვითარების პირობებში, რომელიც უკიდურესად გამძაფრდა დასავლეთის მილიტარისტული აგრესიული წრეების მიზეზით.

ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება თანამედროვეობის უმთავრესი საკითხია, და მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ხალხი, ღიდი და პატარა გააერთიანებს ძალისხმევას, განაცხადა პ. გ. გილაშვილმა. მან აღინიშნა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წვლილი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში. პ. გ. გილაშვილმა წარმატებები უსურვა მამაც ანგოლელ ხალხს დამოუკიდებელი და აყვავებული სამშობლოს აშენებაში.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ: ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ

### ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

▲▲

დმანისის რაიონის გომარეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის „მძღოლს“ გ. რაზმაძეს იმ დღეს თავისი „ქამაზით“ კარტოფილი გადაქონდა წალკიდან წყალტუბოში. მან ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა თვითსაცლელი, რომელიც სოფელ ბედიანის მხრიდან მისთვის გზის გადასაკრეკლად მოჰქროდა, მაგრამ სიჩქარეს არ მოუკლო: მისი გზა ხომ მთავარია! არც გ. ჩამურლიევი, წალკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის თვითსაცლელის მძღოლი, აპირებდა მანქანის დამუხრუჭებას: ის ხომ „ქამაზისათვის“ „მარჯვნიდან დაბრკოლებას“ წარმოადგენდა, მაშასადამე, პრიორიტეტის უფლება მის მხარეზე იყო. ამგვარი „შეუთანხმებლობის“ შედეგი უკვე ვიცით...

ეს შემთხვევა განიხილეს ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე. აღინიშნა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი წალკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში სუსტმა შრომისა და საწარმოო დისციპლინამ. მაშ, სხვაგვარად როგორ უნდა იახსნას ის ფაქტი, რომ ჩამურლიევმა, რომელსაც მინერალური სასუქი გადაჰქონდა მარნეულიდან წალკაში, გადაწყვიტა გზად ბედიანში „შეეარა“?

### ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:**

**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდ წელთან დაკავშირებით პოეტი კარლო რაზდენის ძე **ᲙᲘᲚᲐᲫᲔ** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში და დაბადების სამოცდ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი სულხან ივანეს ძე **ᲜᲐᲮᲘᲫᲔ** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი ამბ. ჯონდო ლევანის ძე **ᲯᲐᲒᲐᲜᲨᲕᲘᲚᲘ** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

● ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

# ᲯᲐᲝ ᲫᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲞᲔᲙᲘᲜᲘ.** ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯაო ძიანმა ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციი საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის მუდმივი კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას შეფასება მისცა ამჟამად ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას.

მან თქვა: „ერთი მხრივ, ვითარება ჩინეთის ეკონომიკური განვითარების დარგში კარგია, მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს“. ეს შეფასება, ხაზგასმით აღინიშნა ჯაო ძიანმა, შეესაბამება რეალურ ვითარებას, ვინაიდან ასეთი წინააღმდეგობა ობიექტურად არსებობს. ბოლო რვა წლის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთლიანი ეროვნული პროდუქტი ორჯერ გაიზარდა, ეროვნული შემოსავალი — თითქმის ორჯერ, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის განუხრელ ზრდას მოწმობს.

დავძლიეთ ეკონომიკის უთანაბრო მუშაობის ტენდენცია, რომელმაც თავი იჩინა წინა წლებში, ამჟამად ქვეყნის ეკონომიკა თანდათანობით გადადის სტაბილური და თანაბარი განვითარების რელსებზე.

შეეხო რა ქვეყანაში არსებულ პრობლემებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა ფასების სტაბილიზაციისა და მოწესრიგების საქმეს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, თქვა მან, ქვეყანაში გაძვირდა დიდძალი საქონელი, მათ შორის სურსათ-სანოვაგე და ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელი. ამავე დროს კვლავ იზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი. შემდგომში განვაგრძობთ მოწესრიგებას ფასწარმოქმნის დარგში, ვინაიდან ფასების სისტემა დასახვეწია.

შეეხო რა „ბურჟუაზიული ლიბერალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას“, ჯაო ძიანმა აღნიშნა, რომ იგი „ხანგრძლივი ხასიათისა“ იქნება. ამასთან დაკავშირებით ჩინელი ხელმძღვანელი შეეხო იმას, რომ უნდა დაიცვან პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპი. თუ ჩინეთს არ უხელმძღვანელებს კომუნისტური პარტია, ქვეყანა დაინგრევა“, — ხაზი გაუსვა მან.

● ᲩᲘᲚᲔ

# ᲙᲐᲠᲛᲔᲜ ᲙᲘᲜᲢᲐᲜᲐ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲡ

**ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲘᲡ. ანტახალხური დიქტატორული რეჟიმის ერთ-ერთმა მსხვერპლმა კარმენ კინტანამ ამხილა ვაშინგტონი, რომელიც სიტყვით იღვწის ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, საქმით კი ხელს აფარებს პინოჩეტის დანაშაულს.**

ამ 18 წლის ქალიშვილის სახელი მსოფლიოს მოედო მარშან ივლისში. მაშინ სანტიაგოში საპროტესტო მანიფესტაციის დარბევის დროს კარაბინერებმა შეიპყრეს კარმენი და მისი თანმხლები როდრიგო როხასი. ახალგაზრდები აწამეს, შემდეგ საწვავი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ძლიერი დამწვრობისაგან როდრიგო როხასი მალე გარდაიცვალა, კარმენი კი ექიმებმა რაღაც სასწაულად გადაარჩინეს.

ჩილეს არალეგალურად გამომავალი ოპოზიციური ჟურნალის „კაუსესათვის“ მიცემულ ინტერვიუში კარმენ კინტანამ თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მუშაობის დროს, სადაც იგი ამას წინათ ჩვენებას აძლევდა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს მიეღოთ რეზოლუცია, რომელიც გმობს პინოჩეტის დიქტატურის დანაშაულს. ამერიკის წარმომადგენელთა მოქმედება, ხაზგასმით აღინიშნა მან, კვლავ აშშ-ს ვაშინგტონის ნამდვილ სახეს, რომელიც პირფერულად ადამიანის უფლებათა დამცველის როლში გამოდის.

### ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

# ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** „არ გვეშინია მუშაობის, გვიყვარს შრომა, მაგრამ არ გვინდა, რომ გადაგვაქციონ მუშა პირუტყვად მხოლოდ იმიტომ, რომ არა გვაქვს თეორი კანი, რომ საფრანგეთში შორიდან ჩამოვიდეთ“, — ვერ ფარავს აღშფოთებას ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსული მშენებელი ბასანი.

„უუფლებონი ვართ. რაც უნდათ, იმას გვიზამენ. უმრავლესობამ არც კი ვიცით ის უფლებები, რომლებიც ადმინისტრაციამ უნდა დაიცვას ნორმალური შრომითი პირობების უზრუნველყოფისათვის. მეტი დუმილი აღარ შეგვიძლია“, — დაუდასტურა ბასანს ნათქვამი მისმა ამხანაგმა ალიმ.

ეს ორი მშრომელი იმიგრანტი დაიჭირავა ფირმა „ფუეერორლმა“, რომელიც ესონის დეპარტამენტში აშენებს რკინიგზის ჩქაროსნული მაგისტრალის ერთ-ერთ უბანს. როგორც შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყოველკვირეული „ვი უვრიერი“ მოწმობს, აქ შრომის პირობები ნაკლებად გამოირჩევა ასი წლის წინანდელი პირობებისაგან. „ეკონომიას“ გამოდევნებული მოიჯარენი ქირაობენ ემიგრანტებს, ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე უუფლებო ნაწილს. „ფუეერორლის“ დაახლოებით სამასი მშენებელი დღე-ღამეში საშუალოდ 14 საათს, უსაეტანსაკმლოდ, პრაქტიკულად ხელით მუშაობს, ხელფასი მინიმალურია, არ იღებენ არც ქვეყანაში მოქმედი იმ კანონმდებლობით დაწესებულ ზეგანაკვეთური მუშაობის საფასურს, რომლის ბევრი დებულება მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

მუშა-იმიგრანტებისადმი ასეთი დამოკიდებულება შემთხვევითი როდია. შარშან მემარჯვენე მთავრობის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს ეგრეთ წოდებულ „იმიგრანტთა სტატუსს“, მეწარმენი ფაქტობრივად თვითონ წყვეტენ ქვეყანაში იმიგრანტთა შემდგომი ყოფნის შესაძლებლობის საკითხს. უმცირესი დანაშაულისა თ ვ ი ს, უმეტეს შემთხვევაში მეწარმეთა თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტისათვის, მანიფესტაციისა თუ გაფიცვაში მონაწილეობისათვის, მშრომელები შეიძლება გაასახლონ საფრანგეთიდან.

„აღარ გვინდა მონობა, ვიბრძოლეთ ჩვენი უფლებებისათვის“, — განაცხადა მოჰამედ აბდელუაბიმ, შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალი პროფორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რომელშიც გაერთიანდნენ კომპანია „ფუეერორლის“ მუშაკები. მშენებელი მუშები მოქმედებენ რეპრესიებით მუქარისა და საშიშროების მიუხედავად. ახლა ისინი გაფიცვას აწყობენ. აღმინისტრაციისა და ხელისუფალთა პროვოკაციების მიუხედავად ისინი შეუდრეკელნლა რჩებენ. მაგალითად, მოჰამედის წინააღმდეგ ხელისუფლებმა აღძრეს სასამართლო საქმე ამკარად მოგონილი ბრალდებით. ეს საქმე, ხაზს უსვამს „ვი უვრიერი“, მთლიანად შეთითხნილია, ვინაიდან მ. აბდელუაბის მთავარი „დანაშაული“ ის არის, რომ იგი პროფესიული აქტივისტია და რაზ

# ᲥᲕᲘᲠᲕᲐᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სავლე წერეთლის დაბადების 80 წლისთავს.**

სავლე წერეთელი სწავლულთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში და შორს გაუთქვა სახელი ჩვენს სამშობლო მეცნიერებას.

ს. წერეთელმა 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი მასწავლებლები იყვნენ სახელგანთქმული ფილოსოფოსები შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. დანელია და სხვანი, რომელთა სახელებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბება და დაფუძნება.

1938 წელს ს. წერეთელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ლოგიკაში პროფესორ მ. გოგიბერიძის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდიდან იგი ინტენსიურად მუშაობს ლოგიკის დარგში, რომელიც დაგვირგვინდა სამი ათეული წლის შემდეგ, „ავტორის“ გარდაცვლებამდე ცოტა ხნით ადრე კ. გამოქვეყნებული ფუნდამენტური მონოგრაფიით „დიალექტიკური ლოგიკა“, ნაშრომს „ფესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მიენიჭა და რუსულ ენაზე გამოიცა.

დიალექტიკური ლოგიკის სისტემა იდეალიზმის საფუძველზე შექმნა ჰეგელმა, მაგრამ სწორედ მისი იდეალისტური ხასიათის გამო მიუღებელი აღმოჩნდა მარქსისა და ენგელსისათვის, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დიალექტიკური მატერიალიზმის სახით. ამავე დროს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე ლოგიკური სისტემის აგების პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნევდნენ. სწორედ ამიტომ მათ მოგვცეს სახელმძღვანელო პრინციპები მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის დასაფუძნებლად. ამის შემდეგ არაერთ გამოჩენილ მკვლევარს უცდია დიალექტიკური ლოგიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება, მაგრამ ყველა ცდა მარცხით დამთავრდა, მხოლოდ ს. წერეთელმა შეძლო ამ ამოცანის გადაწყვეტა, რითაც მან სრულიად ორიგინალური ლოგიკური კონცეფცია შეიმუშავა.

„დიალექტიკური ლოგიკის“ გამოქვეყნებიდან ოც წელზე მეტმა განვლო. მარქსისტულ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცოტა რამ როდი დაიწერა დიალექტიკური ლოგიკის შესახებ, მაგრამ ქართველი მეცნიერის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია დღემდე უნიკალურია.

ს. წერეთლის დიალექტიკური ლოგიკა აგებულია უსასრულო დასკვნის ცნებაზე, რომელიც მან 1947 წელს შემოიტანა. ფილოსოფიის ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში მეცნიერმა პირველად გამოთქვა აზრი, რომ უსასრულო ანუ დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფა მასვე ასაბუთებს. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების“ პირველ ტომში.

უსასრულობის ცნების ზემოაღნიშნული განსაზღვრება და, საერთოდ, ამ სტატიაში გამოთქმული თვალსაზრისი კლასიკური ფორმალური ლოგიკურისაგან განსხვავებული ტიპის ლოგიკურის შესახებ საფუძვლად დაედო დიალექტიკური ლოგიკის სისტემის შექმნას, რომლის პირველი ვარიანტი ჩამოყალიბებულია ს. წერეთლის მონოგრაფიაში „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“. მოგვიანებით მან ეს ნაშრომი უფრო სრულყოფილად, გადამუშავებული სახით დაბეჭდა სათაურით: „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“. სწორედ ეს უკანასკნელია ს. წერეთლის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მან ბრწყინვალედ დაიცვა მოსკოვში 1957 წელს.

უსასრულო დასკვნა, რომლის ცნებაზეც ს. წერეთელმა დიალექტიკური ლოგიკა დაფუძნა, არის ისეთი დასკვნა, რომელიც უარყოფის გზით დასაბუთებას წარმოადგენს. მაგალითად, ჭეშმარიტების უარყოფა ყველაზე მკაცრი ლოგიკური აუცილებლობით თვითონ ასაბუთებს ჭეშმარიტებას; ასევე უარყოფის უარყოფა არის უარყოფის დადგენა, ზოგადის ან იგივეობის უარყოფა შეუძლებელია ზოგადის ან იგივეობის წინასწარი მოხმარების გარეშე და ა. შ. ამრიგად, უარყოფის გზით დასაბუთება უსასრულო დასკვნის ძირითადი ნიშანია. უსასრულო დასკვნა დაპირისპირებულთა ერთიანობაა და, მაშასადამე, დიალექტიკური ბუნებისაა. ს. წერეთელი ფიქრობდა, რომ დიალექტიკური ლოგიკა არის გაშლილი უსასრულო დასკვნა, ხოლო უსასრულო დასკვნა არის, პირიქით, შეკუმშული, ერთი ლოგიკური კავშირის სახით წარმოდგენილი დიალექტიკური ლოგიკა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარქსამდელ ფილოსოფიაში დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ყველაზე სერიოზული ცდა იდეალიზმის პოზიციებზე მოგვცა ჰეგელმა. ამიტომ ბუნებრივია, რომ მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის შექმნა შეუძლებელი იყო ჰეგელის იდეალისტური კონცეფციის კრიტიკული დაძლევის გარეშე. ეს ამოცანა ს. წერეთელმა შეასრულა წიგნში „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“.

1963 წელს ს. წერეთელმა გამოაქვეყნა მონოგრაფია „დასაბუთების საწყისი“, რომელშიც კიდევ უფრო განავითარა უსასრულო დასკვნის თეორია.

რასაკვირველია, ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია მარტოოდენ მონოგრაფიების სახით არ ვითარდებოდა; მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო სტატია, რომლებშიც თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მწიფდებოდა და ყალიბდებოდა ის იდეები, რომლებიც საბოლოო გამოხატულებას ზემოხსენებულ მონოგრაფიებში პოვებდა. ყველა ერთად კი თავმოყრილი და შეჯამებული მის უკანასკნელ წიგნში „დიალექტიკური ლოგიკა“.

სულ უკანასკნელი ნაშრომი, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, არის ვრცელი სტატია „დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობისათვის“. აქ ავტორი თავისი დიალექტიკურ-ლოგიკური პოზიციებიდან წყვეტს ამ ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას.

ს. წერეთელი დიალექტიკური ლოგიკის დიდ სპეციალისტად მიაჩნდათ მთელ ჩვენს ქვეყანაში. მის ფართო ფილოსოფიურ ერუდიციას, ღრმა მეცნიერულ ნიჭს, მისი ნაშრომების მეცნიერულ ღირებულებას აღიარებდნენ არა მხოლოდ თანამოაზრენი, არამედ ოპონენტებიც — ისინი, ვისთვისაც მიუღებელი იყო ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია. ს. წერეთლის ერთ-ერთ ნაშრომზე შ. ნუცუბიძე წერდა: „ს. წერეთლის ნაშრომი დიდ და სერიოზულ მოვლენას წარმოადგენს ლოგიკის მეცნიერების განვითარებაში. იგი დაწერილია დიდი ერუდიციით და, რაც მთავარია, დიდი გონებრივი სიძლიერითა და სიმახვილით. ბევრი რამ ამ ნაშრომში მიგნებულია უტყუარად. მხოლოდ ის, რაც სადავო შეიძლება იყოს, მაინც ძლიერადაა გაკეთებული და ისეთსავე სიძლიერის შთაბეჭდილებას ახდენს“.

ს. წერეთელი მონაწილეობდა თითქმის ყველა სამეცნიერო კონფერენციასა და დისკუსიაში, რომლებიც მისი სიცოცხლის უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ლოგიკის საკითხებზე გამართულა. 1958 წელს იგი მიიწვიეს XII საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესზე ვენეციაში, სადაც გერმანულ ენაზე წაიკითხა მოხსენება „ლოგიკური აუცილებლობის ბუნების შესახებ“. მოხსენებაში გაკეთული იყო უსასრულო დასკვნასთან დაკავშირებული ლოგიკური აუცილებლობის საკითხი: ავტორი ამტკიცებდა, რომ ყველაზე მკაცრი ლოგიკური აუცილებლობა მაშინ გვაქვს, როდესაც რაიმეს უარყოფა მასვე ასაბუთებს (ესე იგი უსასრულო დასკვნის აუცილებლობა).

1961 წელს ვარშავაში ლოგიკისა და მეთოდოლოგიის საკითხებზე გამართულ კოლოკვიუმზე წარდგენილი ს. წერეთლის მოხსენება შემდგომში საფუძვლად დაედო ავტორის მონოგრაფიას „დასაბუთების საწყისი“.

ს. წერეთელი იყო ფილოსოფოსი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ფილოსოფიაში ბევრი ადამიანი მუშაობს, ფილოსოფოსი კი იშვიათია. შეიძლება ესა თუ ის მეცნიერი ღრმად ამუშავებდეს ფილოსოფიურ პრობლემას, წერდეს უაღრესად მნიშვნელოვან გამოკვლევებს სხვადასხვა საკითხზე. ასეთი მეცნიერი უთუოდ დაფასების ღირსია, ვინაიდან იგი არის ფილოსოფიის მკვლევარი, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ფილოსოფოსი არის ის, ვინც ყველა ფილოსოფიურ პრობლემას იკვლევს საკუთარი თვალთახედვით, აქვს საკუთარი ხელწერა, საკუთარი პოზიციები და საკუთარი აზროვნების სტილი.

ს. წერეთელს არა მარტო ლოგიკაში, ფილოსოფიის არაერთ დარგში აქვს გამოკვლევები, კერძოდ, ესენია: დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ფილოსოფიის ისტორია და სხვა. მისი წიგნი „ანტიკური ფილოსოფია“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, დღემდე სამაგიდო ყალოსათვის, ვინც ანტიკურ ფილოსოფიას ეუფლება.

სახელოვანი მეცნიერი ფართო პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1934 წლიდან გარდაცვალებამდე ს. წერეთელი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვადასხვა დროს იგი იყო ფილოსოფიის ფაკულტეტის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, დეკანი, კათედრის გამგე. მისი ლექციები გამოირჩეოდა აზრის სიღრმით, ფართო ერუდიციით, სინატიფითა და მკაცრი ლოგიკური სტილით. ამიტომ იყო, რომ აუდიტორია, სადაც ის ლექციებს კითხულობდა, მსმენელებს ვერ იტევდა ხოლმე.

1940 წელს ს. წერეთელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შეივიდა. 1942 წლიდან დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე მოქმედ არმიაში იყო და ბრძოლით განვლო გზა კავკასიიდან კენიგსბერგამდე, ხოლო შემდეგ იბრძოდა მანჯურიაში იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ. დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის, მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენებითა და მრავალი საბრძოლო მედლით.

დიდია ს. წერეთლის დამსახურება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის, როგორც ფილოსოფიური კვლევა-ძიების რესპუბლიკური ცენტრის ჩამოყალიბებაში. ინსტიტუტი 1946 წელს დაარსდა, ს. წერეთელი კი მას სათავეში ჩაუდგა 1948 წლიდან. იგი იყო ამ ინსტიტუტის ფუძემდებელი შემქმნელი და ორგანიზატორი, რომელმაც არა მარტო თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო ფილოსოფიური ძალები, არამედ აგრეთვე აღზარდა ახალგაზრდა მეცნიერთა თაობა. 1949 წლიდან ს. წერეთლის ხელმძღვანელობით გამოდის ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომები“, ამავე პერიოდიდან სისტემატურად იბეჭდება მონოგრაფიები, სტატიები, მზადდება ასპირანტები, რეგულარულად იმართება სამეცნიერო კონფერენციები.

წერეთლისაგან სწავლობდნენ არა მარტო ფილოსოფიასა და ფილოსოფოსობას, არამედ ადამიანობასაც. ამასთანავე ს. წერეთელი უაღრესად მომთხოვნი იყო, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვებისადმი. იგი არავის აპატიებდა მეცნიერებისადმი ზერელე, განსაკუთრებით უტილიტარისტულ დამოკიდებულებას. ს. წერეთლის, როგორც მეცნიერისა და ადამიანის დიდებულებრივებას ისიც ადასტურებს, რომ შეეძლო საწინააღმდეგო თვალსაზრისთა შეწყნარებაც, რაც, სამწუხაროდ, ესოდენ იშვიათია მეცნიერთა შორის. ს. წერეთელი გარდაიცვალა 1966 წელს. გამოჩენილი სწავლულის მეცნიერული მემკვიდრეობა სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში.

**ს. ავალიანი,**
**პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

# გამარჯვებას გისურვებთ, „ტორპედოელ“

**დღეს** თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი. მოსკოველი ტორპედოელები საფრანგეთის გუნდს „ბორდოს“ ხვდებიან. ამ ორი კვირის წინათ პირველ შეხვედრაში საბჭოთა ფეხბურთელებმა სტუმრად მინიმალური ანგარიშით წაგეს — 0:1.

ავტოქარხნელები თბილისში მეორე დღესვე ჩამოვიდნენ მას შემდეგ, რაც ასეთივე ანგარიშით წაგეს ერევნის „არარატთან“ საბჭოთა კაშირის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში.

— ძალზე გვწყინს, რომ წლევანდელი სეზონი ასე ცუდად დავიწყეთ, — გვეუბნება „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი. — სამ ოფიციალურ მატჩში ვერც ერთი ბურთი ვერ გავიტანეთ, თუმცა ფეხბურთელებმა კარის აღების ბევრი მომენტი შექმნეს.

მწვრთნელი განსაკუთრებით ნაწყინს, რომ „ბორდოსთან“ მატჩში პოლუკაროვმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან ბურთი აიცილა კარს.

— ეს გოლი, რომ გაეტანა, ჩვენი აქციები საბოლოო წარმატებაში მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, — ამბობს იგი. — თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ თამაშში ჩვენი შეა ხაზი მეტოქეებზე სუსტად გამოიყურებოდა. სწორედ ამან განსაზღვრა მასპინძლების წარმატება.

ორი კვირის მანძილზე ტორპედოელები ამ პრობლემის გადაჭრაზე მუშაობდნენ. მნიშვნელოვნად გაუძლებისდა ფეხბურთელთა ფუნქციური მომზადება.

— „ბორდო“ ძალისმიერ, ათლეტურ ფეხბურთს თამაშობს,— გახაგრძო ვალენტინ ივანოვმა. — მისი დამარცხება მხოლოდ მობილური, კოლექტიური მოქმედებით, სწრაფი ტემპით შეიძლება, მთელ მინდორზე მძლავრად უხდა შევუტიოთ.

„ტორპედოს“ მწვრთნელის აზრით, თბილისში კარგი „საფეხბურთო“ ამინდია და გუნდმა მაქსიმალურად გამოიყენა ეს შესაძლებლობა — მომზადების მთელი გეგმა სრულად განხორციელდა.

— ჩვენ გულთბილი მასპინძლების დიდად მადლიერი ვართ. — ამბობს იგი. — ნაყოფიერი მუშაობისა და დასვენებისთვის ყველა საჭირო პირობა შეგვიქმნეს. მადლიერნი ვართ „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექციისა, აგრეთვე დინამოელთა გუნდის ხელმძღვანელებისა, რომლებმაც ხალისით დაგვთმეს დიღმის საწვრთნელი ბაზა.

ტორპედოელებმა „დინამოს“ სტადიონის გაზონიც „მოსინჯეს“. საერთო აზრით, იგი კარგ მდგომარეობაშია. მეცადინეობა სპეციალური ვარჯიშით დამთავრდა— ფეხბურთელები თერმომეტმეტრიან საჯარიმო დარტყმას ხვეწავდნენ.

—იქნებ დაგვეგირდეს, — აგვიხსნა ვალენტინ ივანოვმა. — გამორიცხული ხომ არ არის, რომ შეიძლება შატჩი თერთმეტმეტრიანი საჯარიმოების სერიით დამთავრდეს. ამისთვისაც ვემზადებით. მეტოქე ძლიერი გვყავს და ბიჭებს ესმით ეს. ისინი თავს არ დაზოგავენ. ოღონდ გადალახონ მეოთხედფინალის ბიჯნა და იმედი გაუმართლონ გულშემატკივრებს, განსაკუთრებით თბილისელ მაყურებლებს, რომლებმაც იცით ფეხბურთის ფასი. ჩვენ მათი მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

თბილისელმა ფეხბურთის მოყვარულებმა მატჩის წინაც კი არ დატოვეს უყურადღებოდ „ტორპედო“. მოსკოვის ამ გუნდის წვრთნას ბევრი მაყურებელი ესწრებოდა, თან შორის იყვნენ სპეციალისტები და წინათ სახელმოხვეჭილი ფეხბურთელებიც.

—ჩვენ, თბილისელ დინამოელებს, მოსკოვის „ტორპედოსთან“ ნახევარსუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, — თქვა ბორის პაიჭაძემ. — ეს ძალზე თავისებური კოლექტივია, დიდი საფეხბურთო ტრადიციები აქვს, საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა თავისი თავგამოდებული და ტექნიკური თამაშით. ამ ახალგაზრდა, მზარდ კოლექტივს ახლა ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა, თან შორის თბილისშიც. წარმატებას ვუსურვებთ ამ შეხვედრაში.

—„ტორპედოს“ გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა მოსკოვის კლუბებს შორის. — გაგვიზიარა თავისი აზრი ქართული ფეხბურთის ვეტერანმა გიორგი ახთაძემ. — იგი გამოირჩეოდა ლამაზი, მეტიტყოდი, ელეგანტური თამაშის მანერით. ტორპედოელები ფეხბურთის ჭეშმარიტი რაინდები არიან. „ბორდოსთან“ შერკინების შედეგზე დამოკიდებულია არა მარტო გუნდის მდგომარეობა პრესტიჟული ევროპული გათამაშების სატურნირო ცხრილში, არამედ მთელი საბჭოთა ფეხბურთის ავტორიტეტიც.

გამარჯვებას გისურვებთ, „ტორპედო“!

**ნ. ბერიძე.**

**სურათებზე: მოსკოვის „ტორპედოსა“ (ზევით) და „ბორდოს“ ფეხბურთელები თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ვარჯიშის დროს.**
**ა. პოტორაშვილის ფოტო.**

# „მე მესმის თქვენი“...

**მალე** არსებობის ახი წლის იუბილეს იზეიმებს ყრუ-მუნჯთა ცენტრალური სკოლა-ინტერნატი. ამ 198-კაციან კოლექტივს, რომელსაც საპატიო და პასუხსაგები მისია — სმენადაქვეითებულ ბავშვთა აღზრდა-მკურნალობა აკისრია, ხუთი წელია უნარიანად უძღვება ლამარა სარჩიმელია.

ᲐᲮᲐᲚ ბავშვის განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სასწავლო და საძილე ოთახები, სასადილო, ვაზის ხეივანში ჩაფლული ეზო...

აქ ყველაფერი უფასოა, — სწავლება, კვება, ჩაცმა-დახურვა, სამედიცინო მომსახურება.

ინდივიდუალური მეცადინეობისათვის თერთმეტი კაბინეტია განკუთვნილი, სადაც თვალსაჩინოების სხვადასხვა მასალას უხვად იყენებენ. სასმენი აპარატი ბავშვებს სწავლების განუყრელი თანამგზავრია. მისი დახმარებით იღებენ ისინი ინფორმაციას.

პირველიდან თორმეტ კლასამდე გადიან რვა კლასის პროგრამას. სწავლასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ შრომით აღზრდას. ინდივიდუალური ნიჭის წარმოჩენას.

ხაბეგოთა ᲐᲣᲛᲐᲜᲣᲠᲘ კანონის წყალობით ბედისგან დაჩაგრული ეს პატარები საბოლოოდ ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიან მოქალაქეებად გვევლინებიან. აქ ყველანაირად ცდილობენ მოლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს თანდაყოლილი თუ სხვა რამ მიზეზით გამოწვეული დეფექტი. დაუვიწყარია ის დღე, ის წუთი, როცა ყრუ-მუნჯი უმაწვილი ჩურჩულით წარმოთქვამს „მე მესმის თქვენი!“



**სურათებზე: სმენის კაბინეტის გამგე ნელი ჭავჭანიძე იკვლევს მეხუთეკლასელ ეკა ხუროშვილის სმენას; მასწავლებელი ნანა მარგიშვილი კითხვის გაკვეთილზე.**
**ვ. გეგეშიურის ფოტო.**

# ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲥᲕᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲕᲚᲘ

**16 ᲓᲐ 17 ᲛᲐᲠᲢᲘ** ბოლო პერიოდში პირველი დღეებია, როცა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, შეწყდა წვიმა და თოვლი. 16 მარტს დღისით რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში ტემპერატურა პლუს 6-დან 11 გრადუსამდე მერყეობდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში 16 მარტს ღამით თერმომეტრის სვეტი მინუს 2 გრადუსს უჩვენებდა.

მთებში კვლავ ბევრი თოვლია, ისევ არის ზვავების ჩამოწოლის საშიშრობა. თოვლის სისქე ჯვრის უღელტეხილზე ოთხ მეტრს აღემატება. ლენტეხის რაიონშიც მიმიათა თოვლმა და დღეისათვის მისი სიმაღლე 145 სანტიმეტრს აღწევს.

უახლოეს დღეებში ამიერკავკასიის ატმოსფეროში უმეტესად შედარებით დაბალი წნევა იქნება. რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში ამის შედეგად შეიძლება მოვიდეს წვიმა, მთებში თოვლი.

დასავლეთ საქართველოს დაბლობში ღამით ჰაერის ტემპერატურა მინუს 2 გრადუსამდე დაეცვა, აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობში ოთხ გრადუსამდეც კი. დღისით 7-8 გრადუსამდე დათბება.

მთებში ღამით კვლავ ყინვა იქნება. დღისით თერმომეტრის სვეტი პლუს 5 გრადუსამდე აიწევს. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

# ᲗᲐᲛᲐᲨᲛᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲯᲝᲡ

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ** „ბორდო“ თბილისში ჩამოვიდა 30 ჟურნალისტისა და 100-ზე მეტი სპორტული ჟურნალისტის თანხლებით.

ტორპედოელებთან მატჩის წინა დღეს „ბორდოს“ უფროსმა მწვრთნელმა **ემე ჯაკემ** ჟურნალისტებთან საუბრისას შემდეგი განაცხადა:

— წლევანდელი ევროპის ტურნირების მონაწილეთაგან „ბორდო“ საფრანგეთის ერთადერთი წარმომადგენელია და ამიტომაც ტორპედოელებთან მისი მატჩი დიდ ინტერესს იწვევს ჩვენს ქვეყანაში. ცხადია, ჩვენი თაყვანისმცემლების იმედების გამტყუნება არ გვნდა. თბილისში ჩვენ ჩამოვიყვანეთ 20 ფეხბურთელი. გუნდში, როგორც პირველი მატჩის დროს, არ არიან ტრავმირებული ნახევარმცველები შალაია და ვერკიტიუსი. გამომგზავრებამდე დამაჯერებელი ანგარიშით (3:0) დავამარცხეთ „სონი“ და ახლა ჩვენი გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა. ამ ბოლო მატჩში „ბორდოს“ თავდამსხმელმა ფარეონმა 2 ბურთი გაიტანა. პრაგნოზისაგან თავს ვიკავებ, რადგან ტორპედოელებთან პირველ მატჩში გატანილი 1 ბურთი საბოლოო წარმატების გარანტია არ იქნება. ტორპედოელთაგან განსაკუთრებით გამოვყოფდი ძმებს სავიჩევებს, რომლებსაც შეუპოვრად თამაშის დიდი უნარი აქვთ. ერთი სიტყვით, მატჩი ძნელი იქნება, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. შეეცდებით ჩვენ წინაშე დასახულ ამოცანას თავი გავართვათ...

სამშაბათს „ბორდოს“ ფეხბურთელებმა ორჯერადი ვარჯიში მოაწყვეს. ივარჯიშეს მოსკოველებმაც. ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონის სათამაშო მინდორი მზად არის მასპინძლობისათვის.

# ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

**ᲔᲡᲰᲐᲜᲔᲗᲘᲡ** ქალაქ ლინარესში მიმდინარე მოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ანატოლი კარპოვისა და ანდრია სოკოლოვის სუპერფინალური მატჩის მერვე პარტია 41-ე სვლაზე გაგრძელდა. მეორე დღეს მეტოქეები თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ახლა ანგარიშია 5:3 კარპოვის სასარგებლოდ.

**ᲛᲝᲜᲐᲖᲐᲠᲔᲗᲘ** ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მერვე ტურში დამთავრდა 4 პარტია. ალიხანაშვილმა მოუგო ტერეულაძეს, ჭ. ფილაშვილმა — გაგნიაშვილს, ხუგაშვილმა — მახარაძეს. კახიანი და ჩაიკოვსკაია ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲐᲓᲠᲔ გადადებულ პარტიებში ნიკოლაძემ მოუგო გაგნიაშვილს, მახარაძემ — ნიკოლაძეს, ლაგვილავამ — ტერეულაძეს, ქასოშვილმა — ლანჩავას, კახიანმა — ალიხანაშვილს, ხუციშვილი და ჩაიკოვსკაია ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამის შემდეგ კიდევ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ლიდერმა ნ. ფილაშვილმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა კობაიძესთან. კობაიძე ყაიმზე შეუთანხმდა აგრეთვე ჩაიკოვსკაიას, ნიკოლაძე კი ქასოშვილს. კახიანმა გამოტოვებული პარტია მოუგო ლაგვილავას, ხუგაშვილმა დაამარცხა ხუციშვილი და ნიკოლაძე, სადუნიშვილმა — ხუციშვილი და ქასოშვილი, ლანჩავამ მოუგო მახარაძეს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ტერეულაძესთან. ტერეულაძემ დაამარცხა ჩაიკოვსკაია. რამდენიმე პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

9 ტურის შემდეგ ნინო ფილაშვილს 8 შეხვედრიდან 6,5 ქულა აქვს და კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. 9 შეხვედრიდან 6 ქულა (1 გადადებული პარტია) დაგროვა თამარ ხუგაშვილმა, 8-იდან 6 — ლია სადუნიშვილმა.

**რედაქტორი**
**გ. ᲒᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲗᲐ

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყვეს ღვაწლმოსილი მეცნიერის, აკადემიკოს აკაკი შანიძის საუკუნოვან იუბილეზე მოწვეულ სტუმრებს: გერმანელ კარლ ჰორსტ შმიდტსა და ვინფრიდ ბოედერს, ინგლისელ ჯორჯ ჰიუიტს, ამერიკელ დიენ ჰოლისკისა და ალისა ჭარისს, ბელგიელ მიშელ ესბროკს, პოლონელ იან ბრაუნს, შვედ კარინა ვამლინგს, რუს გიორგი კლიმოვსა და სომეხ სურენ ერემიანს.

ამდენი უცხო სტუმარი და ისიც ერთად, თანაც ყველა თვალსაჩინო ქართველოლოგი, **გ**ულთადად გაწვევია. მათ ქართულად წაიკითხეს ფრიად საყურადღებო მოხსენებები ჩვენი მოძღვართმოძღვრის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც გაეხიხლავდა ქართველურ ენათა ისტორიისა და სტრუქტურის პრობლემებს. ქართული მეცნიერების ბერმუხას მთელი სულითა და გულით მიეულოცეს დაბადების დღე, ამასთან, პატივი დაგვდეს და ჩვენთან მობრძანებაც ინებეს. უდავოდ, დიდ საქმეს აკეთებენ ჩვენი უცხოელი კოლეგები ქართული ენისა და მწერლობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ. სწორედ ამგვარი შემოქმედებითი კონტაქტები, ჰეშმარიტად მეცნიერული ძიებანი, ერთსულოვნება და გულთადობაა საწინდარი ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, სიკეთის თესლისა და ბოროტების დათრგუნვისა, — თქვა ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა.

საქართველოში ყოფნისას მუდამ ბედნიერი ვარ. ჩვენი ეს სიმპოზიუმი კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა იმისა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს საერთოდ სიკეთეს, ყოველ მართალ სიტყვასა და ჭეშმარიტ მეცნიერულ აზრს; რა ბედნიერებაა, რომ არსებობს შესაძლებლობა, ასე გულახდილად გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი კვლევა-ძიების შედეგები, ერთად ვიმსჯელოთ საპირბოროტო პრობლემებზე და დაესახოთ სამერმისო ამოცანებიც. ქართველებსა და პოლონელებს დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. იგი მომავალშიც ისევე შეურყეველი იქნება, როგორც ქართული „შრავლეამიერი“, თქვა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბასკოლოგმა იან ბრაუნმა.

ცნობილია, რომ პროფესორი ჯორჯ ჰიუიტი პირველად ამ თორმეტი წლის წინათ ჩამოვიდა საქართველოში. აქ გაიცნო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტი ზაირა ხიბა, რომელზეც დაქორწინდა კიდეც.

—ერთობ უცნაური ოჯახი გვაქვს, — ხუმრობს ჯორჯი — მე ინგლისურად ველაპარაკები ბავშვს, ზაირა — აფხაზურად. აი, ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ კი ქართულს ვიყენებთ.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან თუ სტუდენტებთან საუბრისას სტუმართა უმრავლესობამ აღნიშნა, ქართულის, სვანურისა თუ მეგრულ-ჭანურის შესწავლის სირთულენი; ისინი, ძირითადად, ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტები არიან. მათი დაინტერესება განაპირობა ინდოევროპული სამყაროს განსრულიად განსხვავებული სტრუქტურის ენებმა და, ცხადია, იმ ერის პატივისცემამაც, რომელსაც ასე თვითმყოფადი და ძირძველი კულტურა აქვს.

თითეული სტუმარი ქართულად ესაუბრებოდა შეკრებილთ, მხოლოდ ერთმა — შვედმა კარინა ვამლინგმა მოიბოდიშა, —ქართულის პირველი გაკვეთილიდან მოვედი და, ჯერჯერობით რუსულად გიპასუხებთო.

ჯერჯერობით... დღეს იმდენი უცხოელი მეცნიერი იჩენს ინტერესს ქართული ენისადმი, რომ ხვალ თუ ზეგ, შესაძლოა, ვრცელმა აუდიტორიამაც კი ვერ დაიტიოს ყველა ქართველოლოგი.

**მ. მანჯ